## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
## MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/10046
27/06/2017

10046-25-2-201706271433

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის მინისტრს
ბატონ ზურაბ ალავიძეს

ბატონო ზურაბ,

მოგახსენებთ, რომ აჭარის რეგიონში ბოლო წლებში საგრძნობლად მოიმატა ადგილობრივმა თუ უცხოეთიდან ჩამოსულმა ტურისტების რიცხვმა, რაც შესაბამისად მოითხოვს ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგებას, რათა სრულად იქნას დაკმაყოფილებული ჩამოსული ვიზიტორების მოთხოვნები. აღნიშნულთან დაკავშირებით აჭარის რეგიონში მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა.

აღნიშნულის ფარგლებში უახლოეს პერიოდში დაიწყება ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობა, რაც საგრძნობლად განტვირთავს ქალაქ ბათუმს ტრანზიტული სატრანსპორტო ნაკადებისგან. იმის გათვალისწინებით, რომ ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთი საკმაოდ დატვირთულია სატრანსპორტო ნაკადებით, აღნიშნული მშენებლობის დასრულებამდე მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია მოეწყოს დამატებითი მოსატრიალებელი კვანძი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ თქვენს დახმარებას, რათა უმოკლეს პერიოდში დაიწყოს და მიმდინარე წლის დასრულდეს აღნიშნული მოსატრიალებელი კვანძის სამშენებლო სამუშაოები.

პატივისცემით,

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბათ. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: (422) 27 26 26. ფაქსი: (422) 27 26 01
Batumi, №25, Luka Asatiani str., ph: +995 (422) 27 26 26, fax: +995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

2